№ 144. ივლისის 5, ხუთშაბათი. 1866—1884 ივლისის 5, ხუთშაბათი. № 144.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible] ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და [illegible] ზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ
„დროებაზე“
ნახევარის წლით
ივლისის 1-დამ წლის დამლევამდე
ფასი ხუთი მანათი
სოფლის მასწავლებელთათვის
ოთხი მანათი.

## დრამატიული საზოგადოების წევრნი

მოწვეულნი არიან დღეს, ივლისის 5-ს საღამოს 7 საათზედ, „წერა-კითხვის საზოგადოების“ ზალაში (სიმონსონოვის ქუჩა, ნაზაროვის სახლი) საზოგადო კრებაზედ ახალი გამგეობის ამოსარჩევად, რადგან ხუთშაბათს ივნისის 28-ს ამორჩეულ გამგეობის ზოგიერთა წევრთა უარი სთქვეს თავიანთ თანამდებობაზედ. (3—3)

## სოფლების ერთი უმთავრესი საჭიროებათაგანი.

თბილისი, ივლისის 5-ს.

რომელი ადამიანიც კი თავის სოფლიდამ როდისმე გამოსულა და ქვეყნისათვის თვალი გადაუვლია,—მოთხოვნილებაც შეჰქმნია ავისა და კარგის გაგება და თვალყურის დევნა საზოგადოების საქმეთა მიმდინარეობისათვის. ადამიანი პირუტყვი როდია, რომ თავის სოროში დაიბუდაგოს, მარტო მცონარეობას მიეცეს და არა დასდიოს-რა, თუ რა ჰხდება დედამიწის ზურგზედ. ადამიანი უმთავრესად იმით გაირჩევა პირუტყვისაგან, რომ მეტის-მეტად აღძრული აქვს სურვილი თავის მეზობლების ამბის გაგებისა და თუ ნამდვილი ვერა შეიტყო-რა, ტყუილსაც არ დაერიდება და მეჭორის სახელსაც კი კისრულობს.

უწინ, როდესაც ფოსტები, რკინის-გზები, ტელეგრაფები და ტელეფონები არ არსებობდენ, ხალხი იმით იკლავდა ამ ადამიანობის მანიშნებელ სურვილს, რომ ერთი ერთმანეთში დადიოდა და სიტყვიერად გადასცემდა ყოველსავე ნახულსა და გაგონილს. მაშინ კაცი მთელს თავის სიცოცხლეს ეხლანდელსავით თავის კაბინეტში ან ჯალობობაში არ ატარებდა და თვით სარჩოს მოსაპოებლადვე იძულებული იყო, მინდორში და ტყეებში ეარნა, ენადირნა, ეთევზავნა და შემდეგში, როდესაც მონადირეობას თავი დაანება და საქონლის მოვლას მიჰყო ხელი, თავის ცხვარსა და საქონელს გაჰყოლოდა ზაფხულის საძოვრიდამ ზამთრის საძოვარზედა და ზამთრის საძოვრიდამ ზაფხულისაზედ. ერთის სიტყვით, მაშინ თვით ცხოვრების გარემოება იძულებულსა ჰხდიდა კაცს მუდამ მოძრაობაში ყოფილიყო, მუდამ თავისივე მზგავსები ენახა და ქვეყნის ავ-კარგიანობისათვის თვალ-ყური ედევნა. ეხლაც ნახევარ-ველურ ხალხს ჩვეულებადა აქვს, როცა შესანიშნავი რამ მოხდება, ან კაცის-კვლა, ან რომელიმე თვალსაჩინო კაცის სიკვდილი, ან განსაკუთრებული, ბუნების მოვლენა ერთი-ერთმანეთს მთიდამ მთაზე „გაჰკივლონ“ და ეს გაკივლება ჩადის ფოსტის მაგივრობასაც, ტელეგრაფისასაც და ტელეფონისასაც. შორეული მაგალითები რომ არ მოვნახოთ,—თუ სადმე ბორჩალოს სოფელში კაცის-კვლა მოხდა, ან პატარა ცხარე ჩხუბი, მეორე დღეს ეს მთელმა ბორჩალომ იცის; მთელი ოსეთი ფუტკარსავით დაედება ხოლმე რომელიმე გამოჩენილი კაცის «ხარნაგას» ან, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „წირვას“ მკვდრის მოსახსენებლად.

განათლებაში ცოტა მაინც ფეხ-ჩადგმულ ხალხს აღარ აკმაყოფილებს ეს პირვანდელებული სახსარი მისვლა-მოსვლისა და ამბების შეტყობინებისა. მთის ოსი ან ბორჩალოელი თათარი მთელ საოჯახო საქმეს დედა-კაცებს ანდობს და თითონ კი მთელი დღე ან იარაღსა ჰფერავს, ან ლამაზ ცხენზედ შემჯდარი აქ-იქა დასეირნობს. ასე იქცევა ნახევარ-ველური კაცი, მაგრამ ასე ვერ მოიქცევა ის, ვისაც ოჯახის მოვალეობა უფრო მძიმედ და უფრო პასუხ-საგებლად მიაჩნია. რაც კაცობრიობა თან-და-თან წარმატებაში შედის, თვითეულის პირის მოთხოვნილებაც მრავლდება და კაცსაც უფრო მეტი გარჯა ეჭირვება ამ სხვა-და-სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. იგი ველარ იცლის აქა-იქ სასიარულოდ ამბების შესატყობად, მას უნდა, რომ ერთი ალაგიდამ ფეხის-მოუცვლელად ქვეყნის ამბებს იტყობდეს და აი ამ მოთხოვნილობის ნაყოფი არის, სხვათა შორის, ის ერთი თაბახი ქაღალდი, რომელიც ეხლა თქვენს წინა სძევს და რომელმაც უნდა ყოველ დღით მთელი ქვეყნის თავ-გარდასავალი გიამბოთ.

მკითხველთან დამნაშავე ვართ, რომ ასე შორიდამ მოვუყევით და ასე

---

«დროების» ფელეტონი ივლისის 5-ს

## გზა-გზა.

(მოთხრობა რუსულით)

(შემდეგი *)

ასე ვცხოვრებთ ჩვენს მეზობელთან თითქმის წლიწადი და როგორც ნათესავს, ისე შევეჩვევენით. როდესაც ლიდიანს არ გვეჩვენებოდა, საქმეები რომ შეიპყრობდენ მას ეპიდემიურ სნეულებათა გავრცელების დროს და მშობიარეებთან სიარულის გამო,—ჩვენ ყველანი მოვიწყენდით, თითქოს ჩვენი ცხოვრება შეჩერდაო. ჩემი პატრონი, გამოფხიზლებული ლარინის ყოველ ნახვის შემდეგ, ენერგიული და საქმიანი, უცებ ჩაჩუმდებოდა, თითქოს ჰკარგავდა დაწყობილ საქმის საგანს. მაგრამ ეს უსიცოცხლობა ხელახლად დაეკარგებოდა ხოლმე, როგორც კი დაგვხედავდა ყველგან სიცოცხლის—გამღვიძებელი ლარინისა. პატრონი, როცა ნახავდა, ჩქარობდა მისთვის გაეზიარებინა ყოველივე, რაც უიმისოდ გაეკეთებინა, თითქოს იმის მოწონება უნდა დაიმსახუროსო. ლარინისა არასოდეს პირში არ აქებდა მას. იმან როგორღაც იცოდა წაქეზება და ხელის შეწყობა საქმეში.

ინსტინქტურად გრძნობდა კაცი, რა იამებოდა იმას და რა არა. ყველანი თითქოს მოვალეობად სთვლიდენ იმას სასიამოვნოდ მოქცეულიყვნენ. იგი თითქო საერთო სვინდისიაო, რომელიც პირ-და-პირ კი არას გეუბნებათ, მაგრამ მუდამ კი დარაჯადა დგას და, თუ საჭიროა, გისაყვედურებს და გამხელს. მაგრამ იმაში ის მომწონდა, განსაკუთრებით, რომ არ გვერიდებოდა ჩვენ, ძველი თაობის ხალხსა. შევიყრებოდით მოხუცი მშობლები,—იმასაც დავპატიჟებდით ხოლმე. ისიც მოვიდოდა, თუ დრო ჰქონდა, ჩვენთან ამხანაგურად, შინაურულად ლაპარაკით გაატარებდა ერთს ორ საათს. ის თვისება არა ჰქონდა იმას, რასაც წინა—თაობას ვამჩნევდით, რომლის წარმომადგენელნიც ცდილობდენ მკაცრად გაეპოთ საზოგადოება ორად და ისე გაცალკევებულიყვნენ, რომ იმათს წრეში არც კი გვცოდნოდა, რა ხდებოდა. ლარინისა ყოველთვის თავაზიანად და გულ-წრფელად გვექცეოდა, არ აზვიადებდა ჩვენს მნიშვნელობას და არც გვართმევდა იმ მცირედს სიკეთესაც, რაც ჩვენში მოიპოვებოდა. საზოგადოდ იგი ხასიათების სწრაფად შესწავლის ნიჭით კარგად გვცნობილობდა ყველას. იმის ჩვენდამი დამოკიდებულება ასე განიმარტებოდა: თუმცა წარსული თაობის ხალხი ხართ და თქვენს სიცოცხლეს უსაგნო და უ[illegible]ო ცხოვრებაში ატარებთ,—მაგრამ ამით მე ვერც გამაოცებთ და ვერც დამიშორებთ. მე ვიცი, რომ ეს ასე უნდა იყოს და ჩვენი ცხოვრების დადგენილი დაწყობილება ჯერ კიდევ დიდ ხანს გამოსდევს თქვენისთანა კაცებს,—მაგრამ ამისთვის მე თქვენ არ მოგერიდებით. მე თქვენში მიყვარს კაცობრიობა, პირადად თქვენ მიყვარხართ და ამიტომაც ვგრძნობ თქვენდამი ცხოველ ინტერესს. ამას გარდა, თქვენშიაც არის კარგი მხარენი, რომელთაც მე ვაფასებ და პატივს ვსცემ, უმეტესად იმისათვის, რომ ქვეყანაზედ ყველაფრით სრულნი ადამიანნი არ მოიპოვებიან. შემდეგ იმისათვისაც მიყვარხართ, რომ მე მინდა ყველა მიყვარდეს, რომ, რაც შემიძლიან, მეტი სიკეთე მოვიქმედო.

ადრე ხშირად ჩავფიქრდებოდი ხოლმე და ვამბობდი ამისთანა ყმაწვილი და გამოუცდელი ქალი ასე მარჯვედ როგორ მუშაობს-მეთქი: ყველა ეხერხება, ყველა ეადვილება, ყველა ხელს უმართავს მას. მოვიდა თუ არა, რამდენიმე ცვლილება მოახდინა, რამდენამე გაუმჯობესება თავის საავადმყოფოს. რასაც ვერ ახერხებდენ ამის წინა-მოადგილენი მთელი წლობით, საერო გამგეობისა და კერძო პირების დახმარებითაც, ეს ხუმრობით და ძალ-დაუტანებლად ახერხებდა. ხუმრობითვე შეიძინა გლეხების სიყვარული და იმათი ნდობა. ერთი სიტყვით—წყალივით მიმდინარეობდა იმისი საქმეები. იმისი საავადმყოფო წააგავდა ფუტკრის სკას, სადაც ყველა გართულია თავის საქმეში.

ახლა, როდესაც გავიცან ლარინისა, საქმე ადვილი გასაგები გახდა. ყოველივე დამოკიდებული იყო საქმის მიდევნასა და სიყვარულზე. იგი დავრდომილებასა და სასო-წარკვეთილებამდე არავის არ მიუშვებდა, არავის მიაძინებდა, ყველას აღვიძებდა და აცხოველებდა თავის საკუთარის მაგალითით. იგი ყველგან პირველი მიდიოდა, ყველაში მონაწილეობას იღებდა და ყველას იზიდავდა, ახალისებდა. არაფერს საქმეს არა სთვლიდა თავისთვის დამამცირებლად, ხშირად შრომობდა მოხელე დედა-კაცებთან, ფერშალთან, მზარეულთან, იქ სადაც კი იმის აზრით, უნდა ესწავლებინა რამე ანუ წაექეზებინა რომელიმე მათგანი. ესენი ყველა უადვილდებოდა იმას, ამისთვის, რომ გულით მისდევდა თავის საქმეს. სხვა ექიმებს, თავიანთ სამსახურის დროს, სხვა ინტერესები ართობდა. ზოგი გართული იყო სასანიტარო და სტატისტიკო გამოკვლევით, მეორე—სამეცნიეროთი, მესამენი საზოგადოებით, სიამოვნებით, ქაღალდის თამაშობით და ამაებს სწირავდენ თავიანთ დროსა. ლარინისა კი უმთავრესად

*) იხილე „დროება“ № 143.

ვრცლად მოვიწადინეთ იმის ახსნა, რაც ყველასთვის თვალ-საჩინოა. მართლაც, თვალ-საჩინოა ყველასთვის, რომ ადამიანის უმთავრესს კუთვნილებას შეადგენს ქვეყნის ამბების გაგების სურვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას არ შეუძლიან ეს სამართლიანი სურვილი ჯეროვანად დაიკმაყოფილოს. ჩვენ გვინდოდა დღეს მოგველაპარაკნა, თუ როგორ უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნილება იმ განვითარებული ხალხისა, რომელსაც ბედს სოფელში ცხოვრება ურგუნებია და ამით თითქმის მოუსპია მათთვის საშუალება თავის დროზედ წერილებისა და ჟურნალ-გაზეთების მიღებისა; ერთის სიტყვით, ჩვენ გვინდოდა სოფლის ფოსტების დამართვის თაობაზედ გაგვემართა ბაასი, მაგრამ წერილის გავრცელებამ იძულებული გაგვხადა ეს სხვალიოდ გადაგვედვა.

## შინაური ქრონიკა.

— დღეს, საღამოს 8 საათზედ, როგორც მკითხველსაც ეხსომება, დანიშნულია «წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» დარბაზში არაჩვეულებრივი საერთო კრილობა «ქართულ დრამატიულ საზოგადოების» წევრთა ახალი მმართველობის ამოსარჩევად, რადგან ამ.ს. წინად ამორჩეულმა მმართველობამ უარი გამოაცხადა თავის თანამდებობაზე.

იმედია, რომ საზოგადოება ბლომად დაესწრობა ამ კრებაზე და ეცდება ისეთნი პირნი ამოარჩიოს მმართველობის წევრებად, რომელნიც ნამდვილ სამსახურს გაუწევენ ქართულ სათეატრო საქმეს და რომელთაც უფრო გულიც მისწევთ და მეტი შეძლება და დროცა აქვთ საზოგადო სამსახურისათვის.

— თბილისში დაარსებულ კომიტეტს ფილოქსერის წინაამდეგ საბრძოლველად სახემწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ დამტკიცებულის პლანის თანხმად ოთხი საფილოქსერო დასი შეუდგენია. თითოეულს გუნდს სწავლული მოთავენი ჰყავანან, ორ-ორი და სამ-სამსამი მძებნელი და მჩხრეკელნი ფილოქსერისა და აგრეთვე რამდენიმე დამხმარებელნი ესრედ წოდებულნი შეგირდები. ერთი დასი სოხუმისკენ გამგზავრებულა, მეორე სტავროპოლის გუბერნიას და თერგის საოლქოს დაათვალიერებს, მესამე ბაქოს გუბერნიისკენ გაემართება და მეოთხე მსწრაფლ-მრბოლ რაზმათვით ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა ალაგას შეუდგება მუშაობას.

რადგან ფილოქსერის საქმე დიდი მნიშვნელობის საქმეა სრულიად ჩვენის ქვეყნისა და კავკასიისათვის, ამიტომ საფილოქსერო კომიტეტს განუზრახავს ყოველივე ცნობა ჰბეჭდოს გაზეთში ამ საქმის თაობაზე საყოველთაო საცნობლად. («კავკაზი»).

— მეტად საინტერესო საქმე მომხდარა ჩვენის ქალაქის საბჭოში წარსულ ოთხშაბათის სხდომაზე. საინტერესო საქმეო რომ ვამბობთ, ეს იმას კი არა ჰნიშნავს, რომ საბჭოს მართლა რამ საინტერესო გაეკეთებინოს ქალაქისათვის. სრულიადაც არა. იგი პირველად შეეხებია ერთს ძველ საგანს, სახელდობრ, პოლიციის შენახვის საქმეს ქალაქში. 1879 წლამდე ქალაქს უძლევია ამ საგნისათვის 78,000 მან. ქალაქს წინადვე საჩივარი შეუტანია და უთხოვნია, რომ დებულების ძალით მხოლოდ ერთი წილი ხარჯი მოეთხოვებოდეს მას პოლიციის შენახვისათვის, მაგრამ ეს საჩივარი არ შეუწყნარებიათ. 1879 წლიდგან ახლად დამტკიცებულის საპოლიციო შტატის ძალით პოლიციის ხარჯი ალურიცხავთ 190,000 მან. და ამ ფულიდამ ქალაქისთვის გაუწერიათ 66,000 მან. ხოლო დანარჩენი ეხლა ადგილობრივ შემოსავალთა ხარჯით უნდა დაიფაროს. სახემწიფო რჩევას ამასთანავე მოუთხოვნია, რომ 1885 წლისთვის ეს ხარჯიც ან სულ ქალაქმა იტვირთოს, ან მოუმატოს თავის ეხლანდელს ხარჯსაც. საბჭოში ამაზე ყოფილა ლაპარაკი, მაგრამ, რადგან პოლიცია არა მხოლოდ საქალაქო ინტერესებს ემსახურება, არამედ საზოგადოდ სახემწიფო ინტერესებსაც, ამისათვის საბჭოს მხოლოდ 3,000 მან. მოუმატებია პოლიციის შესანახავი ხარჯისათვის.

ცეცხლ-საქრობის კომანდის გაძლიერებაზე საბჭოს უარი უთქვამს, რადგან ეხლა ქალაქს დიდი ხარჯი მოელის წყლის გაყვანის პროექტის შესრულებისათვის, რომელიც უკვე გადაწყვეტილია.

ქალაქს გადუწყვეტია და მიულია აგრეთვე საქალაქო ბაღები თავის გამგეობაში იმ ვალით, რომელიც მათზედ ირიცხება, 14,500 მან. გარდა; ეს უკანასკნელი ფული დახარჯულა ალექსანდრეს ბაღის მოაჯირის გასაკეთებლად იმ ფულიდამ, რომელიც კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებაში ყოფილა.

მაგრამ ამ სხდომის გვირგვინად ყოფილა განხილვა „საქალაქო ფურცლის“ ბეჭდვის საქმისა. ეს საგანი კარგა ხანია, რაც ქალაქს აწუხებს და აი ეხლა კიდევ მოჰგონებია მას და მოჰგონებია იმიტომ, რომ ფუკს და ცარიელს „ახალს მიმოხილვას“ საქმე გასჭირებია. ამ პატრონებით აღსავსე რედაქციას არც უცივებია, არც უცხელებია და პირ-და-პირ უთხოვნია ქალაქისთვის, რომ ჩემის გაზეთის ცარიელს ფურცლებს სულ თქვენ განაცვალებთ და თქვენზედ ქება-დიდების წერას, ოღონდ მე შემყარით პირობით და მე მაბეჭდვინეთ, რაც რომ დასაბეჭდი გაქვთ და ამისათვის მხოლოდ 2,000 მან. მამეცით წელიწადშიო. თქვენთვის სულ ერთია, ცალკე დაბეჭდავთ თუ ჩემს გაზეთშიო და ჩემთვის ხომ სულ ერთია და ერთია, რადგანაც მაინც ცარიელი მრჩება ფურცლები და მაინცაო.

დაუღგრომელს და უარ-ჰყოფობის სულით შეპყრობილს ხმოსანს ალადათოვს უთქვამს, რომ ისევ «კავკაზში» დავბეჭდოთ «ჩვენნი ამბავნი სპარ-

---

პრაქტიკული მოღვაწეობით იყო გართული, ხალხთან დაახლოებით და იმათის სარგებლობის მოტანით იყო გატაცებული. მეცნიერება, როგორც იგი აღიარებდა, არ ენუკვებოდა. იგი იმდენად მისდევდა მას, რომ, ცოტათიც არის, უკან არ ჩამორჩომილიყო. იმის ცხოვრების უპირველესი საგანი ცოცხალ ხალხს შორის ცოცხალივე შრომა იყო, რომელსაც გატაცებით მისდევდა. ამისთვისაც იმის გარშემო ყველანი ხალისით მუშაობდნენ. იგი იცოდავდა და ჩაიყოლიებდა ხოლმე კაცს მუშაობაში.

ხანდისხან, როდესაც მეტად ძლიერ ვიყავ ხოლმე გაბოროტებული, უიმედო და ურწმუნოს თვალით ვუყურებდი ქვეყნიერებას, მაინჩხლებდა მე ეს დაუსრულებელი ცოცხალი და ყოველთვის მხიარული მუშაობა. ამ მცირე და წვრილმანი საქმით როგორ შეიძლება კმაყოფილებით და ყოველთვის ასე მოღიმარი სახით ყოფნა, მეთქი, — ვფიქრობდი მე; მაშინ ავუხირდებოდი ხოლმე ლარინისას და იმის მოქმედებას კრიტიკულად ვარჩევდი.

— იცით რა, ანნა ანდრეევნა, — ვეუბნებოდი იმას: — თქვენ მოტყუებული ხართ მაგ ოცნებით, თუ გგონიათ, რომ ხალხისათვის სარგებლობა მოგაქვთ; თქვენი დაუღგრომელი შრომა რომ ავწონოთ, იქნება, ერთი გროშის ფასიც არ დადგეს. ეს საერო მედიცინა ხომ, რომელზედაც ბევრჯელ ექიმებსაც დაუწერიათ, მიემგზავსება ცხრილით ამოღებულ წყალსა. რა მნიშვნელობა აქვს თქვენს წამლობას, იარაღს, მთელი აფთიაქის მასალას ღარიბისა და ლატაკის გლეხ-კაცის მდგომარეობაში. თვით თქვენ, მკურნალებიც, დარწმუნდით, რომ წამლობაში ყველაზედ უპირველესი ჰიგიენა არის. სად ნახავთ მერე თქვენ მაგას? გლეხ-კაცს მოეშალა კუჭი — თქვენ იმას ფარეზობას ურჩევთ: რძეს, კვერცხსა და ყველა სხვა-და-სხვა სასიამოვნო სანოვაგეს. იმას კი პურისა და კართოფილის მეტი არა აქვსრა. თქვენ იმას სუფთა ჰაერს ეუბნებით, ის კი ღორებთან ერთად სცხოვრობს და არ შეუძლიან ასე არ იცხოვროს, ამისათვის რომ ზამთარში თავისი წვრილფეხი მოზარდობა არ იცის, როგორ შეინახოს. თქვენ უმტკიცებთ აუცილებლად მუშაობის თავის დანებებას იმ ჟამად ხელის ანუ ფეხის გამთელებისათვის და იმან კი რომ ერთი კვირა არ იმუშაოს, მთელი წელიწადი მშიერი დარჩება.

— მოითმინეთ, — საჩქაროდ სიტყვა ჩამოართვა ლარინისამ, — მე ვიცი, რასაც შემდეგ მეტყვით; მე ისიც შემიძლიან გითხრათ თქვენ, რაც იქნება პირში არ მითხრათ, სახელდობრ, — რომ გლეხები მე, როგორც ექიმს, აგრე მალე არ მინაწილებენ თავიანთ გულის-პასუხს და ჩემს დარიგებასაც ხშირად მნიშვნელობას არ მისცემენ. იმისათვის კი არა, რომ ცუდი ექიმი ვარ, იმიტომ, რომ ჩემი მკურნალობა ებრძვის იმათ ამაო და ცრუ-მორწმუნებასა. ავადმყოფ დედა-კაცს რომ წამალი მისცეთ და მაშინვე არ არგოს, იმავ წამსვე გაგამტყუნებთ თქვენ უცოდინარობაში და წავა თქვენგან პირველ შეხვედრილ ფერშალთან ან მკითხავთან, რომელნიც სრულებით თქვენს წინააღმდეგს ეტყვიან. ასე არ არის?

— სწორედ აგრეა. მე გაოცებული ვარ, რომ ამაშიაც დახელოვნებული ყოფილხართ. მაშ ბოლოს რა არის თქვენი შრომისა? მებატონისა და მშრომელი ექიმებისის ცხოვრება ერთი და იგივე გამოდის.

ლარინისას ტუჩებზე გაურბინა ოდნავ შესამჩნეველმა ღიმილმა.

— მე მგონია, თქვენ ძალიან შემცდარი ხართ, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ, თუ გგონიათ რომ უდიდესი წარმატების აზრებს მივსდევ და ჩემის გავლენით საქმეთა მსვლელობის შეცვლა მსურს. სრულებითაც არ მიფიქრია ესენი. მე არ მივსდევ უმაღლეს განძრახვათა; თუ ვშრომობ, მხოლოდ იმისათვის, რომ ღონე მაქვს და ჯან-მრთელი ვარ და ერთს წამსაც უსაქმურად ყოფნა არ შემიძლიან. მე მაკმაყოფილებს თვით საქმიანობა, საქმიანობის ვითარება. მაგრამ, რასაკვირველია, თავიც მაბია, რომელიც ამ საქმიანობის აზრს მაგონებს, და იმასაც მაგონებს, რა გვარად შეიძლება უმჯობესად მოვიხმარო ჩემი ღონე. ამას გარდა, მე მაქვს ხალხის სიყვარული და სურვილი, რომ იმათ გამოვადგე როგორმე. თქვენ ხომ იცით ჩემი შეხედულობა თვითეულ მცირე მოქმედების მნიშვნელობაზედ: აბა იმ მცირეს მე უფრო ვაფასებ, ვიდრე დიდრონ რეფორმებს. ხანგრძლივი კეთილ-მომქმედი პირადი გავლენა ყოველთვის თავის შემდეგ კარგს კვალს დასტოვებს, რომელს ასპარეზზედაც უნდა შეხვდეს კაცს მოქმედება. იმას, რასაც თქვენ მეუბნებით ექიმობის უმნიშვნელობაზედ, ისევე ყოველ გვარ მოქმედობაზე ითქმის თანაბრად. საერთოდ ისიც შეიძლება ვსთქვათ, რომ მღვდლებიც ხალხს ღვთის თაყვანისმცემლებად ვერა ხდიან და მასწავლებლები განათლებულებს ვერ გამოიყვანენ თავიანთ მოწაფეებს, ისევე, როგორათაც ექიმი ვერა კურნავს ავადმყოფს. მაგრამ თუ შეხვდა ვინმე კარგი პირი ამ ერთ-ერთს პროფესიაზე, უეჭველად, დასტოვებს თავის შემდეგ კვალსა; ღმერთმან იცის, მე ჩემის მხრივ ძალიან მცირედი მსურს; თუ მოვახერხე და შევაჩვიე ხალხი, რომ ექიმს უფრო ხალისით მიმართოს, ვიდრე მკითხავსა, თუ ვასწავლე ჰიგიენის დაცვა იმ ძალითაც, რაც გლეხ-კაცს ხელთა აქვს, — მე ამასაც დიდს გამარჯვებად ჩავთვლიდი. მაგრამ, გარდა ამისა, ფართო ასპარეზი მრჩება კიდევ, რომ ვეცადო და თვითეულს ოჯახს და თვითეულ კაცს მეტი სიხარული

სკოლნი, რუსულად ნათარგმნებია, ისა სჯობიანო; «კავკაზთან» შედარებით „ახალი მიმოხილვა" ხომ ნოლია და სხვა არაფერი. მაგრამ პოლადათოვმა კი რაც უნდა თქვას და ამ სახით თუ იმ სახით „ახალმა მიმოხილვამ" კი, რომლის რედაქციაში საეჭვო მოჭადრაკენი სხედან, არა მარტო ქალაქის-თვით — მმართველობის წარმომადგენელი ჯგუფიდამ, სუბსიდია გაიკრა. რა გულ-კეთილნი ყოფილან მასთან ზოგიერთა ხმოსნები: იზმაილოვს (წევრი გამგეობისა) უთქვამს, რომ არ დაივიწყოთ რედაქციის გაჭირვებული მდგომარეობა. ერთს ჩვენთაგანს დაუმატებია: უნდა ვუშველოთ ყმაწვილებო, ერთადერთს კერძო რუსულს (ნუთუ მართლა «რუსულს» ბატონო ქალაქის ინტერესების წარმომადგენელო) გაზეთსაო.

მაგრამ პოლადათოვისა არ იყოს, გინახავთ კიდევ ისეთი უფერული, უმადლო, უშინაარსო გაზეთი, როგორიც არის «ახალი მიმოხილვა»; გინახავთ განა, რომ ადგილობრივი ინტერესებისთვის დაარსებული ორგანო ისეთის გულ-აცრუებით ეკიდებოდეს ადგილობრივ საქმეებს და ავსებდეს თავის ცარიელს თავსა და გულსა მხოლოდ იმით, რაც აქაურობისა და კავკასიის ინტერესების გარეშეა.

= „ნოვოსტებს" შეუტყვია, რომ საიმპერატორო ეკონომიური საზოგადოება ამიერ-კავკასიაში აბრეშუმის მოვლის საგანგებო დაწესებულების პროექტის განხილვაშიაო: უწინ აბრეშუმის მოვლა ძალიან გავრცელებული იყო ჩვენში და სომხეთშიაც, მაგრამ ახლა, როგორც ამ საქმის გამომკვლეველნი ამტკიცებენ, ძალიან დაცემული აბრეშუმის წარმოება. პირველი ქარხანა აბრეშუმის ამოხვევისა და დახვევისათვის მე-40 წწ. დაარსებულა, რომელსაც მთავრობისაგან ჰქონია შემწეობა და რომელიც შერე მოსპობილა. შემდეგ ნუხში დაარსებულა, სხვა-და-სხვის ხელში გადასულა და დღეს ისე უმოქმედოდ დგას. დღეს ყარაბაღში 11 ქარხანა არსებობს. ნუხში ერთი ქარხანა მოქმედობს ეხლა ზაიდამენცოვისა.

## წერილები რედაქტორთან.

### I

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ამ ჩემს მცირე შენიშვნას მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში.

ამას წინად წავიკითხე სიღნაღის მაზრიდამ მოწერილი კორესპონდენცია, რომელიც იყო დაბეჭდილი «დროების» 124 №-ში. ამ წერილში კორესპონდენტი შეეხება ზოგიერთ ბოროტ-მოქმედებას, რომელიც ხდება ეხლა და ხდებოდა უწინ სოფ. ჯიმითში. სხვათა შორის, კორესპონდენტს გამოჰყავს ბოროტ-მოქმედ პირად განსვ. მ. დ. შ. და ამბობს, რომ ამ განსვ. მ. დ. შ. და ზოგიერთ მოხელე კაცებს რომ არ ჩაეშალათ სკოლის საქმე და წინააღმდეგობა არ გამოეჩინათ, სკოლა უეჭველად გაიხსნებოდაო. ზოგიერთ პირებზე მე არაფერს მოგახსენებთ: შესაძლებელია, რომ ისინი მართლა ბოროტ-მოქმედნი იყვნენ; მე მსურს მხოლოდ განსვენებულ მ. დ. შ—ს შესახებ მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა. კორესპონდენტი ისეთ ნაირის სითამამით ლაპარაკობს მ. დ. შ—ის მიერ სკოლის გახსნის წინააღმდეგობაზე, რომ ეჭვის შეტანაც არავის შეუძლიან ამ საქმეში, მაგრამ ნამდვილად კი ეს აგრე არ არის. მ. დ. შ. რომ არ იყო წინააღმდეგი სკოლის გახსნისა სოფ. ჯიმითში და არც საქმე ჩაუშლია, ეს ცხადად იქიდამა სჩანს, რომ მ. დ. შ—მა თავის საკუთარ სახლში საკუთარის ხარჯით 1866 წელს გახსნა სკოლა, რომელშიაც დაიარებოდა ოც-და-ათამდის ყმაწვილი. სხვათა შორის, ამ სტრიქონების დამწერიც იმ ყმაწვილების რიცხვში იყო.

არაფერს გარდასახადს სწავლებისათვის ჩვენ იმას არ ვაძლევდით, თუმცა დასაწყისში ორი-სამი წლიწადი არაფერი შემწეობა არ მიუღია და მერეც ძალიან მცირე შემწეობას იღებდა სოფლიდგან ეს პატივცემული პირი (წლიწადში ხან ათი თუმანი, ხან თუთხმეტი). ამ ფულებსაც ის სრულიად თავის თავზედ არა ხარჯავდა — სკოლისათვის ყიდულობდა ყველა საჭირო ნივთებს: სტოლებს, დაფებს, გრიფილებს, წიგნებს და სხვებს. განსვენებული მოსწავლეების მიღებაში არ აქცევდა ყურადღებას არც ჰასაკის და არც ნაციის განსხვავებას: ვისაც სწავლის სურვილი ჰქონდა, იმისათვის სკოლის კარი ღია იყო [illegible] [illegible]დენ შვიდი და რვა [illegible] ყმაწვილები ოცის და მეტის წლის ვაჟი-კაცებთან ერთად; მოსწავლეების რიცხვს შეადგენდენ: ქართველები, სომხები და თათრები. რამდენადაც შეძლება და დრო ჰქონდა, იმდენად შრომობდა და გვასწავლიდა. ამ ნაირად ეს სკოლა არსებობდა თითქმის შვიდი წელიწადი და აქედამ გამოსული ყმაწვილები ზოგი ვაჭრობაში შევიდა და ზოგი სხვა საქმეში და სხვა გლეხებთან შედარებით რიგიანად ცხოვრობენ.

მე კარგად მახსოვს, როდესაც აწ განსვენებული ბესარიონ ღოღობერიძე, სკოლების დირექტორობის დროს, მოვიდა ჩვენს სკოლაში; წაგვაკითხა, დაგვაწერინა, ზეპირად გვათქმევინა ზოგიერთი ლექსები და კმაყოფილი დარჩა. ნიშნად კმაყოფილებისა, იმან გვაჩუქა მოსწავლეებს რამოდენიმე ეკზემპლიარი სახარებისა და ფულად — ორი თუ სამი მანეთი. თვით მ. დ. შ—საც მადლობა უთხრა და სთხოვა გაეგრძელებინა ამ გვარად ყმაწვილების სწავლება. აი, ბ. რედაქტორო, ამ ნაირ მოღვაწე პირის წინააღმდეგ გამოუცხადებია ბ. კორესპონდენტს და ჰკიცხავს განსვ. მ. დ. შ. სრულიად უსაფუძვლოდ და საქმის გაუცნობლად. ბ. კორესპონდენტს ვთხოვთ დაგვისახელოს, თუ შეიძლება, სად, როგორ და როდის ეწინააღმდეგებოდა განსვ. მ. დ. შ. სკოლის გა-

---

მივანიჭო და მით გავავრცელო კერძო პირთა ბედნიერება.

— «მაშ ეს არის რაღა აზრი და სრული შინაარსი ამ ცხოვრებისა!» — ვფიქრე მე, და, სწორედ მოგახსენოთ, იმ დროს ძალიან მარტივი და განუვითარებულიც კი მეჩვენა ლარინისა.

— შეიძლება, ყოველივე ეს ძალიან წვრილმანად გეჩვენოთ, — გამოიცნო მან ჩემი აზრი ჩვეულებრივის შორ-გამჭვრეტელობით. — იქნება თქვენ ამჯობინებდეთ, რომ მე მომეტებულ აზრის ამაღლებას ვიჩენდე, მომეტებულს გატაცებას, აღელვებულ გულისთქმათა. აგრეთვე იქნება, უფრო მოგწონებოდათ, რომ მე უფრო ნაკლებ ვყოფილიყავ კმაყოფილი ჩემის თავისაც და იმ წრისაც, რომელიც გარს მარტყია. მაგრამ, ღმერთმანი, მე მიხარიან, რომ მომშორდენ ის თვისებანი, რომელნიც თქვენის აზრით ჩემს ნაკლულევანებად მიგაჩნიათ. არა მგონია, გატაცებით მიჰყვე საქმეს, თუ ერთი ხელვე იცი იმის უვარგისობა, ანუ გგონია, რომ შენს დონეზედ უფრო მცირეა და სხვანი? დამეთანხმეთ რომ საქმისათვის უფრო გამოსადეგნი არიან იმისთანა ვიწრო შეხედულების პირნი, როგორათაც მე ვარ...

დიახ, იმას საქმე კარგად მიჰყავდა. მომავალი ყრილობის შემდეგ, რომელზედაც მე ამირჩიეს გამგეობის წევრად, უფრო ხშირად მომიხდა ლარინისასთან საქმის დაჭერა თემის საქმეთა მხრით მოწყობის გამო: მე მესიამოვნებოდა იმისი დახმარება. იგი შესანიშნავ ცვლილების მოხდენას ფიქრობდა, ცდილობდა საზაფხულო ბარაკების აშენებას საავადმყოფოებთან, განზრახვა ჰქონდა ბავშვებისთვის საერთო სააკვნო გაემართა; ანგარიშს, მოიჯარადრეებთან მოლაპარაკებას უნდებოდა იმის თავისუფალი დრო. ჩვენ მთელი საათობით ვისხედით, ვარჩევდით, როგორ გაგვემართა უფრო იაფად და უმჯობესად ეს ყველაფერი. იგი რჩევაში ჰიგიენური მოთხოვნილების და ავადმყოფის მოთავსების წესების ცოდნას იჩენდა და ამით იყო სასარგებლო, ხოლო მე პრაქტიკული გამოცდილება მქონდა ძველი მეურნისა და ცხოვლად და სწრაფად მიდიოდა ჩვენი საქმენი, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ უცებ მოუღო მათ ბოლო.

ეს მოხდა ნაშობევს. როგორც წევრი გამგეობისა მე კვირაში ორჯელ მოვდიოდი ქალაქში ჩემის სოფლიდან. ჩვეულებრივ დღეს მისულს თავმჯდომარე დამიხვდა მე იქა. როდესაც მივემშვიდობე, მაშინვე შევნიშნე შეწუხებული და დაღვრემილი სახის გამოხატულობა. დიდი ხანი იყო ასე არ მენახა იგი.

— რა დაგმართვიათ? — ვეკითხები. პასუხის ნაცვლად მან გარდმომიგდო სტოლიდან რაღაც ქაღალდი, ვუყურებ, — მოწერილობაა. მე დავაშტერდი თავსმჯდომარეს.

— წაიკითხეთ, — მანიშნა იმანაც. დავიწყე კითხვა და შევკრთი.

— არა, ეს არ შეიძლება! შევყვირე მე და შევჩერდი შუა ადგილას.

— მერე რისთვის?

— დაასრულეთ და ნახავთ, ნაღვლიანად მითხრა პაველ არკადიევიჩმა.

ჩემს თვალწინ ასონი ხტოდენ, მე ვძალადობდი შემეტყო ამ ქაღალდის შინაარსი და, როდესაც გავიგე, რაღაც მომწყდა გულიდან.

იმ ქაღალდში იყო მოწერილობა საერო გამგეობისადმი ლარინის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე, რადგან ახალის გადაწყვეტილების ძალით ექიმ-ქალებს აეკრძალათ საერო საავადმყოფოში მუშაობა.

მე და პაველ არკადიევიჩმა გაოცებით შევხედეთ ერთმანეთს; ამისთანა მოულოდნელმა და უბადლო, ძვირფასი კაცის დაკარგვამ დასთრგუნა ჩემი ფიქრები. რისთვის? მის რას უშლიდა? იგი სასარგებლოა, კარგია და უბადლოა! და ლარინისა წარმომიდგა თვალწინ ცოცხალი, მარდი და სრული, სიყმაწვილით გატაცებული, ენერგიულად გართული საქმეში, რომელიც ისე უყვარდა და რომლისთვისაც იცოდა, როგორ შთაბერა აზრი და მიეცა მნიშვნელობა. „ოჰ, რა გვარად იწყენს ამას და რა მძიმედ იმოქმედებს ეს იმაზედ," — შიშით ვფიქრობდი მე და გულმტკივნეულად წარმოვიდგენდი, რა შეუბრალებლად მოჰკვეთავდა სასტიკი გარდაწყვეტილება იმ მშვენიერს საერო ნიადაგზე ისე კარგად ნახარებს ნაზს ყვავილს.

— ნუთუ არ შეიძლება ამის შეცვლა? — შევყვირე მე ჩემს ფიქრებში გართულმა და იქვე მივხვდი, რომ არავითარს უარის თქმას არ შეეძლო შეცვლა ამ გაუკარგულებისა. თავ-მჯდომარემ მხოლოდ მხრები შეათამაშა.

— მიიღეთ თქვენ ეს შრომა და ლარინისას გამოუცხადეთ, კონსტანტინ ნიკალაევიჩ. როგორც იმისი კარგი ნაცნობი, უფრო მოახერხებთ ამის შესრულებას. გადაეცით საერთო მწუხარება და სინანული ერობისა მაგიერ, რომ ჩვენ ძალაუნებურად ვკარგავთ მას, უთხარით, რომ, როდესაც ქალების საქმე გარდაწყდება მათ სასარგებლოდ, მოხარულნი და გამზადებულნი გვპოვებს ხელ-ახლად მივიღოთ იგი ჩვენს შორის იმავე ამხანაგად.

— მძიმე მონდობილებას მაძლევთ, პაველ არკადიევიჩ!

— მხოლოდ იმისათვის, რომ თქვენ მაგას სხვაზედ უმჯობესად აღასრულებთ; მისი სიბრალულით ჩავაგონებთ, როგორ გაუადვილოთ ეს მძიმე უსიამოვნო ამბავი.

(შემდეგი იქნება)

Доз. ценз. Тифлисъ, 4 Іюля 18

ხსნას? მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ამ კითხვებ ე ეჭიჭურს საბუთიანს პასუხს ვერ მოგვცემს. რა მოსა რედაქციას უნდა ემოქმედნა ამ შემთხვევაში კორესპონდენტს, მისი ქცევა მაინცადამაინც უმართებულოა. უმართებულოა ერთის მხრით იმიტომ, რომ რედაქცია შეჰყავს შეცდომაში და მეორეს მხრით იმიტომ, რომ ჰკიცხავს სრულიად უსაფუძვლოდ იმისთანა კაცს, რომლისაგანაც პასუხს არ მოელის, რადგანაც იგი წელიწად-ნახევარია, რაც მიიცვალა.

თ. ზაქრელი.

II

გაზეთის «დროების» № 93-ში დაბეჭდილი შენიშვნა რიონის სტანციის უფროსის ცუდ ყოფა-ქცევაზედ ამ ბატონმა მე დამაბრალა, მიჩნეული მართებლობასთან და ბუფეტის სამსახურიდგან გამომარიცხვინა. მე, როგორც სრულიად უბრალო ამ საქმეში, უმორჩილესად ვთხოვ რედაქციას გამოაცხადოს, რომ ის შენიშვნა მე არ მეკუთვნოდა.

ვმოწმობთ და ვალიარებთ, რომ შენიშვნა ამ წერილის გამომგზავნს არ დაუწერია.

კირილე ბაგრატიონ-ის კომპანიონი.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივლისის 3-ს.

ოდესა. დღეს ერთი დღე-ღამის ობსერვაციის შემდეგ ნავთ-სადგურში შევიდა კრეისერი «პეტერბურგი», რომელიც 2,903 ტონი პირველ-მოცრეთული ჩაით არის დატვირთული.

ნოვგოროდი. ჩრდილოეთ სამმასახლისოებში რქიანს საქონელს და ცხენებს ციმბირის წყლული გაუჩნდათ; ეს წყლი ხალხსაც გადაედება ხოლმე გაუფრთხილებლობისაგამო საქონლის ლეშთა დამარხვის დროს.

ლუგა. მაზრის ხუთს სამმასახლისოში გაჩნდა საქონელს ციმბირის წყლი; გაჩნდაც ეურება; 27 სულამდინ გამხდარა ამ სენით ავად; მათ რიცხვში ხუთი კაცი მომკვდარა.

პარიჟი. გაზეთები ლაპარაკობენ, რომ გერმანიის წინააღმდეგ გუშინ მომხდარი დემონსტრაცია მმართებლობის ბრალი არ არის, რადგანაც დემონსტრაციის მომხდენნი პატრიოტები კი არა, სუსტი ჭკუის პატრონნი ანუ წამქეზელთა აგენტები არიანო.

მარსელი. აქ მოკვდა ხოლერით 64 და ტულონშიაც 13 კაცი.

სოფია. გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა ცანკოვი, რომელიც დიპლომატიურ აგენტად იყო კონსტანტინოპოლეში.

ივლისის 4-ს.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ გვატყობინებს, რომ პროექტი გლეხთა გადასახლების საქმის მოწყობის შესახებ სახელმწიფო რჩევაში შეტანილი იქმნება მომავალ სესიის დასაწყისში. ამ საგნის გადაწყვეტამდის მოთხოვნილია 40,000 მანათი შესაწევნელად ღარიბ გადასახლებულთა.

ბერლინი. საფრანგეთის ელჩმა ბერლინის კარის წინაშე გამოაცხადა მწუხარება თავის მთავრობისა იმ დემონსტრაციის გამო, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ მოხდა პარიჟში.

პარიჟი. პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა $2^1/_2$ მილიონი ფრანკის კრედიტი ხოლერისაგან დაზიანებულთათვის.

მარსელი. აქ მოვიდენ მინისტრები: შინაურ საქმეთა, ვაჭრობისა და საზოგადო სამუშაოთა პრეფექტმა მოახსენა, რომ 65,000 მეტი კაცი გავიდა.

# განცხადებანი

—


პირობით ვიყვანთ შაგირდებს ყოველ გვარ სასწავლებლებში მოსამზადებლად

გიორგი იოსელიანი.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ზეტსერის სახლებში. № 140. (3—3)

შპალიერი ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა და სხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

ძმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული.

(30—20)

გაიცემა ქირით ექსპლუატაციისათვის

ორი ცყის ღარა

ამიერ კავკაზიის მხარეში:

ერთი, — 1500 დეს. რკინის გზაზე, მეორე — 1300 დეს. მდ. მტკვართან

პირობების შეტყობა შეიძლება:

თბილისში — ჟურნალი «იურიდიჩესკოე ობოზრენიეს» ადმინისტრაციაში,

ქუთაისში — დაფიცებული ვექილის თანა-შემწესთან თ. ანტონ ნიკ. ლორთქიფანიძესთან.

(2—1)

გამოვიდა

ცალკე წიგნად

სამგვარი სიყვარული

მოთხრობა

აკაკი წერეთლისა

(„დროების“ რედაქციის გამოცემა)

ფასი 30 კაპ.

(ვინც ორ ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი იყიდება თბილისში კრიჭუროვის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. ქუთაისში ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. სხვა ქალაქებშიაც მალე გაიგზავნება. ერთბაშად ყიდვა შეიძლება აგრეთვე «დროების» რედაქციაშიაც. (10—6)

PAPIER RIGOLLOT

БУМАГА РИГОЛЛО

ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ

ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ

ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ

Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте за НАСТОЯЩУЮ БУМАГУ РИГОЛЛО лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись красною краской.

P. Rigollot

Продается во всѣхъ аптекахъ.

ГЛАВНОЕ ДЕПО

24, Avenue Victoria

PARIS

Въ Парижѣ.

(32—14)

ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“,

издаваемый въ г. Тифлисѣ.

(ГОДЪ ЧЕТВЕРТЫЙ)

Журналъ, какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, кромѣ приложеній по прежней программѣ.

Подписная цѣна, съ пересылкою и доставкою, на полъ года 6 р. Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и чрезъ два мѣсяца еще 3 р.

Подписавшимся на весь годъ, высылаются вышедшіе №№. Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе года, уплачиваютъ за 1881 г.—8 р. 20 к., а за всѣ послѣдующіе по 10 р. за каждый годъ. Для гг. Студентовъ годовая подписка 8 р. (вмѣсто 10), а полугодовая—5 р. (вмѣсто 6 р.)

Объявленія, казенныя и частныя, принимаются по таксѣ за занимаемое мѣсто.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа: въ Администраціи журнала—въ Тифлисѣ, Сололакская улица, д. № 10; также въ Москвѣ и С.-Петербургѣ, въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Редакторъ-издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ

(Присяжный повѣренный)

(2—2)


Дов. ценз. Тифлисъ, 4 Іюля 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.